ხობის მუნიციპალიტეტის საქმიანობის წარმოსაჩენად და საზოგადოებისათვის ინფორმაციის დროულად და სრულფასოვნად მიწოდების მიზნით გამგეობის ინფორმაციის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება გთავაზობთ პერიოდულ ჩანართებს.

## საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბეტონის გადამამუშავებელი ქარხანა გახსნა



კომპანია „პრაიმ ბეტონის" პრეზენტაციას დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრო. მიხეილ სააკაშვილი ქარხნის პერსონალს გაესაუბრა, მათი სამუშაო პირობებით დაინტერესდა. შეხვედრა ბიზნესსექტორის წარმომადგენლებთანაც გაიმართა. პრეზიდენტი დაინტერესდა რამდენად თავისუფალია ბიზნესგარემო საქმიანობის დასაწყებად. პრეზიდენტთან საუბრისას ქარხნის მესვეურებმა აღნიშნეს, რომ ლაბორატორიის



სპეციალისტების, მაღალკვალიფიციური ტექნოლოგების თვალსაზრისით საქართველოში უნიკალური კადრებია.

„ამ ხალხს სამუშაო არ ქონდა 15 წელი. ჩვენ ეს პერიოდი ჩაგვივარდა და პრაქტიკულად, სპეციალისტთა მთელი თაობა გაჩერებული იყო. ეს ხალხი ათმაგი ენერგიით და ენთუზიაზმით მუშაობს. მათ არ უნდა გავუცრუოთ იმედები", — განაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა.



ქარხანა ათასწლეულის განვითარების ფონდის ფარგლებში ამუშავდა.

ახალი ქარხნიდან, მიხეილ სააკაშვილმა ფოთის ახალი აეროპორტის მშენებლობაზე გადაინაცვლა... „ამიერკავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ობიექტი სახელმწიფო სახსრებით უნდა აშენდეს." დაახლოებით წელიწადნახევარში აქ აშენდება საქართველოში ყველაზე დიდი აეროპორტი. ჩვენი გათვლებით, ზაფხულობით ეს აეროპორტი უფრო მეტ მგზავრს და უფრო მეტ ტვირთს მიიღებს, ვიდრე თბილისის, ერევნის და ბაქოს აეროპორტები. ეს ევროპასთან ყველაზე ახლომდგომი აეროპორტი იქნება, ამავე დროს გამორჩეული იქნება ტვირთგადაზიდვების რაოდენობით".





## ანა იოსავა დაჯილდოვდა ღირსების ორდენით

ქ.ხობის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, ანა ვლადიმერის ასული იოსავა, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 2009 წლის 7 აგვისტოს ბრძანება №546, სამშობლოს წინაშე სამოქალაქო თავდადებისა და ღირსეული ქმედებისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ანა ვლადიმერის ასული იოსავას რუსეთის აგრესიის შედეგად 2008 წლის 8 აგვისტოს დაეღუპა შვილიშვილი მიხეილ იოსავა, შვილიშვილის დაღუპვის დღიდან ქალბატონი ანა აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ მოწყობილ ყველა საპროტესტო აქციებზე: ქ.ხობის, პირველი მაისის, სენაკის, ფოთის მიტინგებზე და მოუწოდებდა რუს ოკუპანტებს დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია.

ქალბატონო ანა, ხობის მუნიციპალიტეტი გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, რათა გულში ატაროთ თქვენი გმირი შვილიშვილის ნათელი ხსოვნა.

## 19-20 სექტემბერს სამეგრელო მეოთხედ უმასპინძლებს ხობის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე"



ფესტივალი, საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი „ხობის" პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, ბატონი გოდერძი ბუკიას ინიციატივითა და ხელშეწყობით 2003 წელს დაფუძნდა და ტარდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ.

ფესტივალი 14 საათზე ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ხობის მუზეუმში გაიხსნება, სადაც ფესტივალისათვის მომზადებულ ნაბეჭდ, ვიდეო და აუდიო პროდუქციის პრეზენტაციასთან ერთად უდიდესი ქართველი მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის დაბადებიდან 1000 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილია ბარელიეფის გახსნა. ამავე იუბილეს ეძღვნება ახალგაზრდა ფოლკლორისტთა და მუსიკათმცოდნეთა სამეცნიერო კონფერეცია, რომელიც მუზეუმში 15 საათიდან დაიწყება.

ფესტივალის პირველ დღეს, საღამოს 20 საათზე ხეთის თეატრონი ფოლკლორულ კოლექტივებს უმასპინძლებს. კონცერტზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოსა და მსოფლიოს წამყვანი ფოლკლორული კოლექტივები და შემსრულებლები. ამავე დღეს ზუგდიდში ჩატარდება საესტრადო კონცერტი ქართული ესტრადის ვარსკვლავების მონაწილეობით.

ფესტივალის მეორე დღეს 16 საათზე ხობში გაიმართება ბავშვთა გუნდების ოლიმპიადა, ხოლო საღამოს 20 საათზე ხეთის თეატრონში შედგება ქართული ესტრადის განუმეორებელი ოსტატის, მაესტრო ალექსანდრე ბასილაიას შემოქმედებითი საღამო.

19-20 სექტემბერს საღამოს 22 საათზე ფესტივალის პროგრამით ქალაქ ხობის ცენტრში გაიმართება ახალგაზრდული დისკოტეკა.

წინა წლებში გამოცემულ უნიკალურ მონოგრაფიებსა და კომპაქტდისკებს წელს შეემატა: გამოცემები-მონოგრაფია ალექსანდრე ბასილაიაზე, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის ხობის მუზეუმის ბუკლეტი ბროშურა სამეგრელოს ექვს საუკეთესო ლოტბარზე, ბროშურა გიორგი მთაწმინდელზე და კომპაქტისკები-ქართულ-(მეგრული)-აფხაზური სიმღერები, სპეციალურად მეოთხე ფესტივალისათვის მიძღვნილი სიმღერა „ ჩქიმი ჯიმა ძუკუ ლოლუა", ალექსანდრე ბასილაიას რჩეული სიმღერები, მესამე ფესტივალის დასკვნითი კონცერტის ვიდეოჩანაწერი.

წლევანდელი ფესტივალის ორგანიზატორები არიან: საერთაშორისო-საქველმოქმედო ფონდი „ხობი" „(პრეზიდენტი გოდერძი ბუკია), ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი (ხელმძღვანელი ანზორ ერქომაიშვილი), საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის ადმინისტრაცია სამეგრელო-ზემო სვანეთში, ხობის რაიონის საკრებულო და გამგეობა.

ხობის საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე" საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია 2-ის ლოცვა - კურთხევით ტარდება.

## ხიდი ჭანისწყალზე – საჯიჯაოელთა ახდენილი საუკუნოვანი ოცნება



2009 წლის ოქტომბერში ექსპლუატაციაში შევა საჯიჯაო-ნარაზენის დამაკავშირებელი ხიდი. ეს კომუნიკაცია 17 კმ-ით შეამცირებს გასასვლელ გზას.

2,5 მილიონი ლარის ღირებულების 232 მეტრი სიგრძის ხიდის მშენებლობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტია მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს განხორციელებულ პროექტებს შორის.

# ნაპირსამაგრი სამუშაოები სექტემბერში დაიწყება



სამი დიდი მდინარე, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გავლით შავ ზღვაში ჩაედინება, ხშირი წვიმების შედეგად მოსახლეობისათვის საფრთხის მომცველი აღმოჩნდა. განსაკუთრებით წლევანდელმა წყალდიდობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა რამდენიმე სოფელს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ ხერხდება ადიდებული მდინარის შედეგად გარღვეული ნაპირების, დაზიანებული ხიდების, ხიდ-ბოგირებისა და გზების აღდგენა, რის გამოც, მუნიციპალიტეტის ცენტრს მოწყვეტილია ძველი ხიბულისა და გაღმა საჯიჯაოს მოსახლეობა, რომელთაც შემოვლითი გზებით მოუწევს სიმინდის მოსავლის გამოტანა და დაბინავება.





ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის და იფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის ირაკლი ჯგერენაიას ინფორმაციით გამგეობამ ოპერატიულად განახორციელა ყველა საჭირო და აუცილებელი ღონისძიებები აღდგენითი სამუშაოებისათვის საჭირო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად. ბატონმა ირაკლიმ იმედი გამოთქვა, რომ დაფინანსებაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა გამოსწორდება და ბიუჯეტით კუთვნილი თანხების მიღებისთანავე სამუშაოები ოპერატიულად დაიწყება.

# დასრულდა გომებაშვილის, სპორტის და წერეთლის ქუჩების მოასფალტება

## ხალხის აზრით....

**შორენა ალანია** — პირველ რიგში მადლობა თქვენ რომ, მომეცა საშუალება მადლობა მეთქვა ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც ამ საშვილიშვილო საქმეში მიიღო მონაწილეობა, კერძოდ, სპორტის ქუჩის მოასფალტებაში. თქვენი თვალით ხედავთ, როგორ კეთილმოეწყო აქაურობა, ბევრი რამ გაკეთდა ქალაქში, ეს ქუჩა იყო დარჩენილი. მადლობა ყველას ადგილობრივ ხელისუფლებას, იმ კომპანიას, ვინც ამ გზას აკეთებს, მუშებს.

* * *

**მაია ქირია** — ფოსტამდე მისასვლელ გზას ვეძახით ამ გზას, ხშირი მოძრაობაა ამ გზაზე. მტვრის ბული იდგა თუ მანქანა გაივლიდა. მადლობის მეტი რა გვეთქმის. საერთოდ, ადამიანები ადვილად ვივიწყებთ წარსულს, გავიხსენოთ რა იყო არცთუ შორეულ წარსულში რაიონი და რა გაკეთდა ამ წლების განმავლობაში. შუქი, წყალი, გზები, კომუნალური მომსახურება და ასე შემდეგ. რაც მეტი კეთდება, მით მეტი სამუშაო ადგილია, მეტი დასაქმებული ახალგაზრდაა.









* * *

**თენგო, 40 წლის (ხეთიდან)** — თბილისში ვცხოვრობ ამჟამად. ხშირად ჩამოვდივარ. ყოველ ჩამოსვლაზე ვხედავ თვალში საცემ ცვლილებებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ წინ მიდის ქვეყანა, ვითარდება ინფრასტრუქტურა, იზრდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. ბიუჯეტის გაზრდა ნიშნავს დასაქმებულ ადამიანთა გაზრდილ რაოდენობას.

* * *

**ნინო ესებუა** — ენგელსის ქუჩის მცხოვრებთ გახსოვთ ალბათ, რა მდგომარეობა იყო ამ ქუჩაზე. ბავშვები წვიმისგან დამდგარ გუბურებში ჭყუმპალაობდნენ, ჩემს სახლთან მანქანით რომ მივსულიყავი, წრე უნდა გამეკეთებინა, სარეცხს ვერ ვფენდით მტვრის ბულის გამო. მადლობა ადგილობრივ ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარებისათვის.

* * *

**დინარ გაბისონია** — წლების განმავლობაში გვაწუხებდა ამ ქუჩის პრობლემა, საერთოდ, უმძიმესი მდგომარეობა იყო. წელს განსაკუთრებული ყურადღება მოგვაქცია ადგილობრივმა ხელისუფლებამ. ბედნიერები ვართ ამ ქუჩის მცხოვრებნი. ყველას სახელით მადლობა ხელისუფლებას და შემსრულებელ კომპანიას ხარისხიანი მუშაობისათვის და მადლიანი საქმისათვის.

## ხობში მოეწყობა 2008 წლის 8 აგვისტოს დაღუპული გმირების მემორიალი

2009 წლის 8 აგვისტოს კულტურის სახლში რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის ინიციატივით და დაფინანსებით სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად ქ. ხობში აღიმართება მემორიალი.

## ახალი მაგისტრალური გაზსადენი ხობის სოფლებში გაივლის



24 აგვისტოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შედგა შეხვედრა შ.პ.ს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ გარემოს დაცვის ჯგუფსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან, რომელიც ატარებდა საინფორმაციო ხასიათს. აქვე გარემოს დაცვის ჯგუფმა წარმოადგინა საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი „სენაკი-ფოთის“ ახალი 720 მმ დიამეტრის გაზსადენის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. მაგისტრალური გაზსადენი „სენაკი-ფოთი“ გაივლის ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების: საგვიჩიოს, ჭალადიდისა და პატარა ფოთის 26-კილომეტრიან მონაკვეთს. გაზსადენის მილი სავარაუდოდ გაივლის მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე მიიღებენ შესაბამის კომპენსაციას. სოფლების ინტერესებიდან გამომდინარე, გაზსადენის მილზე დამონტაჟდება სარქველები, რითაც სოფლებს მიეცემათ გაზიფიცირების საშუალება. კორპორაციის მხრიდან გათვალისწინებული იქნება გაზსადენის სამუშაოების შესრულებისას არქეოლოგიური ფენების აღმოჩენის შემთხვევები და მოწვეულნი იქნებიან სპეციალისტები დამკვირვებლების სახით.

## ნიკა კემულარია ოქსფორდის უნივერსიტეტში ისწავლის



საზაფხულო ბანაკების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ხობელი მოსწავლე, ნიკა კემულარია ოქსფორდში ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე გაემგზავრება.

„ოკუპაციის კვირეულში” გამარჯვებულმა ხობის №1 საჯარო სკოლის რვა მოსწავლემ და კონკურს „ალუბლობაში“ გამარჯვებულმა ხობის №2 საჯარო სკოლის ერთმა მოსწავლემ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოწვევით 5-25 აგვისტოს წყალტუბოს ენის საზაფხულო სკოლაში ინგლისური ენის კურსები გაიარა. აღნიშნულ ბანაკში ინგლისური ენის სწავლების კურსს გადიოდნენ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში გამარჯვებული მოსწავლეები. საქართველოს მასშტაბით ინგლისური ენის სწავლების კურსი 3 ეტაპად ჩატარდა და მასში 1 000 მოსწავლე მონაწილეობდა. 1 000 მოსწავლიდან შეირჩა 56 მოსწავლე, რომლებმაც საზაფხულო სკოლებში სწავლებისას ყველაზე მაღალი შედეგები აჩვენეს. მათ შორის არის ხობის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე ნიკა კემულარია, რომელიც სექტემბრის თვეში ინგლისში ოქსფორდის უნივერსიტეტში ორკვირიანი სწავლების კურსს გაივლის.

## ჩემს უმცროს მეგობარს ნიკას!

განათლება ყველაზე დიდი ძალაა, რაც ადამიანს შეიძლება ჰქონდეს. მიხარია, როცა ამ ძალით ადრეული ასაკიდან ივსები. გისურვებ მალე გაგეგოს თუ როგორ „ტკბილდება სწავლის მწარე ძირი-კენწეროში.“

ნიკა, დარწმუნებული ვარ ქართულ თვისებებისა და ღვთისაგან ბოძებულ ნიჭიერებას მთელი ცხოვრება გამოიყენებ. მწამს, რომ დაუღალავი შრომითა და საქმის ერთგულებით ლამაზ ბიოგრაფიას და უდიდეს პირად ავტორიტეტს შეიქმნი.

ჩემო მეგობარო, უფალმა გაგაძლიეროს, სიკეთითა და სიყვარულით გატაროს ცხოვრების ხანგრძლივ გზაზე.

**პატივისცემით იგორ ტყებუჩავა,**
**ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი**

## დევნილთა საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია



საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხობის მუნიციპალიტეტში დაიწყო ლტოლვილთა საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია 4 კომპაქტური ჩასახლების ობიექტის რეაბილიტაცია:

**1. სკოლა–ინტერნატი–ხობი**
**2. პროფ. სასწავლებელი — 4 შენობა — ნოჯიხევი**
**3. პროფ. სასწავლებელი — 2 შენობა — ხეთა**
**4. მეურნეობის ბინები — 3 შენობა — თორსა–დღვაბა.**

სამუშაოებს აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო ფირმა „აქსისი.“

დასაქმებულია 156 ადამიანი, მათ შორის 54 დევნილი. დამთავრდა შენობების დემონტაჟი, ნაწილობრივ გამოცვლილია კარ — ფანჯრები. გადაიხურა ხეთის პროფ. სასწავლებლის 2 შენობა, მიმდინარეობს სკოლა — ინტერნატის გადახურვითი სამუშაოები. დევნილთა კორპუსების რეაბილიტაციის სამუშაოები უნდა დასრულდეს 2010 წლის 1 იანვრამდე.

# დიალოგი ხალხთან



საჯიჯაო

## საჯიჯაო

საჯიჯაოს კულტურის სახლში შეკრებილ მოსახლეობას დიდი ხნის ლოდინი არ დასჭირვებია... მათ მუნიციპალიტეტის გამგეობის თითქმის ყველა დარგის ხელმძღვანელი სტუმრობდათ.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შესახვედრად უამრავი ხალხი გამოსულა. დაკვირვებული ადამიანი მრავალ სიყვარულით და კმაყოფილებით სავსე თვალებსაც ადვილად შეამჩნევდა, რადგან გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა ამ სოფლის მოსახლეობასთან წილნაყარი, აქაური მკვიდრი, ნეტარხსენებული პედაგოგების მარგო ჩიქოვანისა და იროდი ტყებუჩავას შვილია. ამ თავითვე ვიტყვი, შეხვედრა ისეთი გულახდილი, საქმიანი და გულწრფელი იყო, ალბათ, ეს მისი მხრიდან სოფლის ტკივილისა თუ სიხარულის განსაკუთრებულმა გათავისებამაც თუ განაპირობა.

აქვე იყვნენ სტუმრები დედაქალაქიდან: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები თამაზ ბერაძე და გონელი არახამია. როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი ტოპონიმიკით ყოფილან დაინტერესებულნი და სოფლის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

ბატონმა იგორ ტყებუჩავამ ისაუბრა იმაზე, ვარდების რევოლუციის შემდეგ როგორ იცვალა იერ-სახე ჩვენმა მუნიციპალიტეტმა. მოსახლეობას შესთავაზა გულახდილი დიალოგი სოფლისათვის ყველაზე პრობლემურ საკითხებზე, რათა მუნიციპალიტეტის მომავალი ბიუჯეტი შედგეს არა გამგებლის კაბინეტში, არამედ ხალხთან ერთად და ხალხის სურვილების გათვალისწინებით.

— ჩვენ ჩავალთ მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში და გპირდებით, თქვენს სურვილებს გავითვალისწინებთ მომავალი პროექტების განხორციელებაში, — თქვა გამგებელმა.

სოფელში პრობლემებს რა გამოლევს (რაც მეტი კეთდება, სურვილებიც მეტია). სოფლის პრობლემებზე, გაკეთებულ და გასაკეთებელ საქმეებზე ისაუბრეს რომან რეკვავამ, იზო გოგოლაძემ, თინა ხოშტარიამ, რამაზ თოდუამ, ნუგზარ წირღვავამ და მრავალმა სხვამ, აშკარად გამოიკვეთა, რომ საკეთებელი მართლაც ბევრი ყოფილა — ხიდები და ნაპირსამაგრი სამუშაოები, გზები, სტადიონი, ბაღებისა და სკოლების რემონტები, გაუხსნელი საქონლის ქურდობები, გასხვისებული მიწები და საძოვრები, და, ყველაზე მეტად, სოციალური სუფსიდიების სააგენტოს მისამართით გამოთქმული სამდურავი. სოციალურად დაუცველთა ქულების მინიჭებით შედგენილი არარეალური სიები და ამ დარგში არსებული ქაოსი გახდა ხელისუფლებისადმი ხალხის სამდურავის საბაბი.

ბატონმა იგორ ტყებუჩავამ და გამგებლის მოადგილემ ქალბატონმა რალა ჩემიამ ყველა დასმულ საკითხზე დარგის ხელმძღვანელებისაგან ამომწურვი პასუხები მოისმინეს. გამგებელმა თავად შეაჯამა მათი ინფორმაციები და დასძინა, რომ დიალოგი მუდმივად გაგრძელდება, რადგან ხალხის ხმა ხელისუფლებას გზას უნდა უკაფავდეს მომავალი გამარჯვებებისაკენ. სწორედ ასეთი ერთიანობა შექმნის ხვალინდელ ძლიერ საქართველოს.

## ქვალონი

— მოვედით იმისათვის, რომ ერთად დავგეგმოთ თქვენი სოფლის მომავალი — უთხრა ქვალონელებს ხალხთან დიალოგზე მოსულმა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ. და... გადმოიღვარა ქვალონელთა გულისნადები — ადრე მრავალგზის თქმული, შეპირებებიც მიღებული და დღემდე შეუსრულებელი პრობლემები: გამოსაცვლელი ელექტრობოძები, სასმელი წყლის მილები, სოფლის პროგრამით გათვალისწინებული წყლის გამრიცხველიანების დაგვიანება, საძოვრების გასხვისება, საბავშვო ბაღის რემონტი (აწვიმს, ფართი არ ყოფნით) ამბულატორიის კიბის რემონტი, სანიაღვრე არხების ამოწმენდა, სკოლაში სპორტული დარბაზის არქონა და ძველი კორპუსის რემონტის აუცილებლობა, ზამთრისათვის ტყე-კაფის გამოყოფა და — უმთავრესი გამგებლისთვისაც კარგად ნაცნობი სატკივარი — ქვალონელთა დღემდე აუხდენელი და ხელისუფლებისაგანაც მრავალგზის დანაპირები — რაიონის ცენტრამდე დამაკავშირებელი სამკილომეტრიანი გზის მოასფალტება. იყო საქმიანი, გულახდილი დიალოგი, მაგრამ შიში იმისა, რომ ეს დაპირებებიც არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“...

დიალოგის შემდეგ დარჩა იმედი იმისა, რომ მომავალ ბიუჯეტში ხალხის სურვილების ყველა თუ არა, ნაწილი მაინც იქნება გათვალისწინებული.

## ქარიატა

სექტემბრის თვეში შედგა მორიგი შეხვედრა ქარიატის მოსახლეობასთან.

სოფლის პრობლემებზე ისაუბრეს ნოდარ მიქაბერიძემ, ალექსანდრე ალექსანდრიამ, საბავშვო ბაღის გამგე-ნონა გიგიბერიამ, გამგეობის რწმუნებულმა ვანო გვასალიამ, დეპუტატმა კახა მიქაბერიძემ.



ქვემო ქვალონი

გამომსვლელებმა გამგებელს შეხვედრაზე მოახსენეს იმ პრობლემებზე, რომლის მოგვარებაშიც ქარიატის მოსახლეობამ დახმარება სთხოვა ხელისუფლებას:

ელ.ტრანსფორმატორის შეძენა.

ელექტროტექნიკოსის სპეციალისტით მომსახურება.

წყალსადენის რეაბილიტაცია

საჯარო სკოლის შენობის რემონტი.

საბავშვო ბაღის შენობის რემონტი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი.

მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა ქარიატის მოსახლეობას დაპირდა დახმარებას სოფლის პრობლემების მოგვარებაში, ხოლო ის საკითხები, რომელთა მოგვარებაც ვერ მოხერხდება მიმდინარე წელს, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული მომავალი წლის ბიუჯეტში.

**შეხვედრები მოსახლეობასთან კვლავ გაგრძელდება**

**მერი ლაგვილავა**



შეხვედრა ღვაწლმოსილ ადამიანებთან

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეხვედრაზე ღვაწლმოსილი ადამიანების მხრიდან გამოითქვა საინტერესო წინადადებები და რჩევები. გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ შესაბამის სამსახურებს დაავალა ამ საკითხების გულდასმით შესწავლა და განხილვა. გატარებული ღონისძიების შესახებ მოახსენონ გამგეობას სისტემატურად.

# ვიდრე სასწავლო წელი დაიწყება

ხობის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ხათუნა გერგაიას ინფორმაციით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებისათვის გამოყოფილია 1000 მერხი, რაც საშუალებას მოგვცემს ნაწილობრივ განვაახლოთ საკლასო ოთახის ინვენტარი.

წელს ტრადიციულად პირველკლასები მიიღებენ პრეზიდენტის საჩუქარს, მათ გადაეცემათ ჩანთები და სახელმძღვანელოები.

ამასთან, სილატაკის ზღვარს მიღმა მყოფ პირველკლასელ მოსწავლეებისათვის (მუნიციპალიტეტის მასშტაბით 65 მოსწავლეს) საჯარო სკოლებს ჩაერიცხებათ თანხა თითო ბავშვზე 100 ლარის ოდენობით.

რესურსცენტრის ახალი სპეციალისტი, ისტ მენეჯერი, საჯარო სკოლებში არსებული კომპიუტერების პროგრამულ და ტექნიკურ გამართულობას მოემსახურება. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ყველა კომპიუტერში ჩაიტვირთება ლიცენზირებული პროგრამული გარსი ვინდოუსი და მოსწავლეები უკვე ოქტომბრიდან შესძლებენ ამ ოპერაციული სისტემით სარგებლობას.





* წელს ზუბის საჯარო სკოლას 200 ათასი ლარის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა. გამოიცვალა სკოლის სახურავი, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები.

* მეორე წელია ქვემო ქვალონის ახალი კორპუსში მიშენებითი სამუშაოები მიმდინარეობს. ცენტრალური ბიუჯეტიდან მშენებლობისთვის გამოიყო 200 ათასი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300 ათასი ლარი.

ქვემო ქვალონის საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები ახალ სასწავლო წელს ახალ კორპუსში შეხვდებიან.

## დაინიშნა

**ზაზა კუპრეიშვილი** — გამგეობის წლევანდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

**სოსო ჭანტურია** — გამგეობის რწმუნებულად სოფელ გურიფულში.

**აპოლონ ალექსანდრია** — გამგეობის რწმუნებულად სოფელ ნოჯიხევში.

**სევერიან ბუკია** — სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამეგრელო-გურია —სვანეთის სამხარეო სამმართველოს მთავარსპეციალისტად ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობაში.

# საეკლესიო-საერო დღესასწაული „ცოტნეობა“

12 აგვისტოს ქ. ხობში გაიმართა ტრადიციული საეკლესიო-საერო დღესასწაული „ცოტნეობა“ ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში. წმიდა ცოტნე აღმსარებლის სულის მოსახსენიებლად წირვა აღავლინა ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა. ტაძრის მიმდებარე ტყე-პარკში მოეწყო ხალხური შემოქმედების ნიმუშების გამოფენა-დათვალიერება. აქვე იყო გამოფენილი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მნიშვნელოვანი მასალები.

15:00 საათზე ტყე-პარკში წარმოდგენილიქნა კოლხური ეთნოგრაფიული ფრაგმენტები: მეგრულ ფაცხებში დღესასწაულის მონაწილეებს ტრადიციული სამზარეულო მასპინძლობდა.

17:00 საათზე გაიმართა ცოტნეობისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომპოზიცია. ცოტნეობის დღესასწაულს ხობის მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ჭოხონელიძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან მოწვეული სტუმრები; აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი გურამ გუნავა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა ქარდავა, ფოთის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს, სენაკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. ფაზისის აკადემიის ვიცე პრეზიდენტი ხობის საპატიო მოქალაქე ნუგზარ ნადარაია, ხობის საპატიო მოქალაქე ვაჟა ეგრისელი. „ცოტნეობის“ მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ:



„ძვირფასო ხობელებო, პატივცემულო სტუმრებო! გილოცავთ ცოტნეობას, საეკლესიო-სახალხო დღესასწაულს, ერისა და ეკლესიის წინაშე თავდადებული მოღვაწის, სამშობლოს ერთიანობის სიმბოლოს, საქართველოს ეროვნული გმირის ცოტნეს ხსენების დღეს. ჩვენ, ხობელები მისი ბრწყინვალე ღვაწლის დაფასების აღსანიშნავად ტრადიციულ ზეიმს ცოტნეს საშვილიშვილო ამაგის დასტურად მივიჩნევთ. დარწმუნებული ვართ, კოლხი რაინდის გმირობაზე მთელი თაობები გაიზრდებიან. ჩვენთვის საამაყოა, რომ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობს მრავალი დელეგაცია და საპატიო პირი, სტუმრები დედაქალაქიდან, აჭარიდან, მეზობელი რაიონებიდან და ქ. ფოთიდან. მადლობა მათ ცოტნეობის ტრადიციულ ზეიმში მონაწილეობისა და მხარდაჭერისათვის. ჩვენ მოკრძალებით მივესალმებით და მადლიერებით მივმართავთ ხობისა და ფოთის ეპარქიის მიტროპოლიტს მეუფე გრიგოლსა და ზეიმში მონაწილე ყოვლად მაღალუსამღვდელოესობას დღევანდელი დღის მაღალორგანიზებულობისათვის. მადლობა ხობელებს ერთად დგომისა და მხარდაჭერისათვის. კიდევ ერთხელ, გილოცავთ ბრწყინვალე დღესასწაულს. ვულოცავ ქვეყნის პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს და მთელ საქართველოს. და ბოლოს, ნება მიბოძეთ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახელით კოლხური ცივილიზაციის, კოლხეთის ისტორიის კვლევის, პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საპატიო სიგელით დავაჯილდოვო: რეზო პაპუაშვილი, ალეკო დოლბაია, დარეჯან კვარაცხელია, ზურაბ აბრალავა, რუსლან რუსია, გოგიტა ჩიტაია, ასევე მინდა მივულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო ახალი გამარჯვებები მათ საქმიანობაში.“

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელობისა და კოლხეთის კულტურისა და ისტორიის პოპულარიზაციაში გაწეული ღვაწლისთვის ხობის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა არქეოლოგ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს, ფაზისის აკადემიის ნამდვილ წევრს, ეროვნული მუზეუმის უფროს თანამშრომელს, კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელ რეზო პაპუაშვილს.

# ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა



მიმდინარე წლის აგვისტოს პირველ ნახევარში ხობის მონასტრის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის გამგეობის დაფინანსებით მიმდინარეობდა დაზვერვითი არქეოლოგიური სამუშაოები, რომელსაც აწარმოებდა ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიური ჯგუფი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი გამგეობის ძეგლთა დაცვის მთავარი სპეციალისტი გოგიტა ჩიტაია, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის რევაზ პაპუაშვილის ხელმძღვანელობით.

გათხრებზე გამოვლინდა ძვ. წ. არ VIII-VII ს.ს-ის კოლხური ნამოსახლარები და მომდევნო პერიოდის ნივთიერი მასალა.

ჩანს, რომ ხობის მონასტრის და მის მიდებარე ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ჩქეფდა სიცოცხლე. ახლად აღმოჩენილი ნაგებობის ფრაგმენტები, სავარაუდოთ, არსებული ტაძრის წინამორბედ ტაძრის არსებობაზე მიგვანიშნებს.

აღმოჩენილი მასალა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დაიგეგმა არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელება. მონასტრის ტერიტორიაზე ჩატარებული სამუშაოების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

## ზენი თუ საჯიჯაო?

მოხდა ისე, რომ დღემდე საჯიჯაოს ტოპონომიკას ცვლილება არ შეეხო და სახელწოდება დარჩა ამ სოფლის ერთ ნაწილში XVII საუკუნიდან ჩასახლებული ჯიჯავების გვარის პატივსაცემად.

საჯიჯაოელებს ეს გვარი და სოფლის სახელწოდება დღემდე არაფერს ეუბნება, გარდა იმისა, რომ ისინი თავადები იყვნენ. მათ არ იციან ამ გვარის ცოდვა-მადლიანი ცხოვრება, ნაღვაწი და დამსახურება სოფლის წინაშე. ამჟამად სოფელში ამ გვარის მატარებელი არც ერთი პიროვნება არ ცხოვრობს.

სოფლის სულიერ ფასეულობათა დაბრუნებისა და ისტორიული სახელწოდების აღდგენის მიზნით საინიციატივო ჯგუფის წინადადებით, სოფელში ჩატარებულ გამოკითხვას პასუხი უნდა გაეცა თუ ვინ იყო მომხრე ობიექტური კანონზომიერების აღდგენისა.

სოფლის მთელი მოსახლეობის საჯიჯაო-გალმა საჯიჯაოს ჩათვლით 75 %-მა ანუ 1551 კაცმა მოითხოვა სოფელს დამკვიდრებოდა ის სახელი, რომელიც მას ოდითგან ეწოდებოდა — ზენი.

ზენი (რზენი) მაღლობებს შორის მოქცეულ შედარებით სწორ ვაკე ადგილს ნიშნავს და ზუსტად ესადაგება სოფლის დღევანდელი ცენტრის მდებარეობას.

## ჯანდაცვა

შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის მიერ აგვისტოს თვეში სოციალური და ჯანდაცვის პაკეტით გაეწია დახმარება:

—27 ახალშობილის ოჯახს 2700 ლარის ოდენობით;

— 1 გარდაცვილი ვეტერანის ოჯახს — 250 ლარით;

— 11 ავადმყოფზე დახმარება — 3268 ლარით;

— 797 უმწეო ბენეფიციარის მეორე კვარტალი წყლის სუბსიდია — 2821 ლარი;

— ჯანდაცვის მუნიციპალური პაკეტით 57 უბნის მედდების მომსახურებაზე ივნის-აგვისტოს თვის — 2080 ლარი;

## სპორტი

# თენგიზ ქაჯაიას სახელობის ტურნირი



ღონისძიებას 1000-მდე მაყურებელი დაესწრო.

სამშობლოსათვის თავდადებული, ტრაგიკულად დაღუპული ხობის პრეფექტი თენგიზ ქაჯაია მართალია ეკუთვნის მთელ საქართველოს, მაგრამ ის განსაკუთრებული და უდიდესი ტკივილია საჯიჯაოელებისათვის. თენგო ამ კუთხეს ამშვენებდა თავისი ვაჟკაცობით, ინტელექტით, ნამდვილი ქართველობით. საჯიჯაოელები ამაყობენ იმით, რომ თენგიზ ქაჯაია იყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეფექტი, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, რომელიც პირველივე დაიღუპა თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მისი სახელის უკვდავსაყოფად საჯიჯაოელი ახალგაზრდები ყოველწლიურად ხალისიანად, ერთგულებითა და პატრიოტული განწყობით მონაწილეობენ მისი სახელობის ტურნირში. მიმდინარე წელს ტურნირი დაიწყო 24 აგვისტოს და დამთავრდა 1 სექტემბერს.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საჯიჯაოსა და ნოჯიხევის საფეხბურთო გუნდები, შეხვედრა საჯიჯაოელთა გამარჯვებით დამთავრდა. ტურნირის მონაწილეები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ტურნირის მონაწილეებს სიტყვებით მიმართეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ. ისინი მოსახლეობას დაჰპირდნენ, რომ ტურნირი ტრადიციულად გაგრძელდება და უფრო ფართო მაშტაბს ხასიათს მიიღებს.

დასასრულს საჯიჯაოს სტადიონზე გაიმართა კონცერტი ადგილობრივი და ხობის მუნიციპალიტეტის მუსიკალური ჯგუფებისა და მომღერლების მონაწილეობით. მომღერლების: მარიამ აიანადის, კარალინა ჯალაღონიას, მარიამ კვიკვინიას, ირინა მირცხულავას, ნონა ქირიას, ნინო გოთოშიას, დიანა ვადაქარიას და სხვების ვირტუოზულად შესრულებულმა სიმღერებმა საჯიჯაოელებს დიდი სიამოვნება მიანიჭა.





# ხობის კოლხეთი მუნიციპალიტეტის საკუთრებაა



საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“

**იური ჭანტურია — გუნდის დირექტორი, ვლადიმერ ბუკია — გუნდის უფროსი, ლევან ნოდია — მთ. მწვრთნელი, გელა ლომაია — თავდამსხმელი, ოთარ ფიფია — დამცველი, თორნიკე ღლონტი — თავდამსხმელი, დავით სართანია — თავდამსხმელი, გიორგი გოგენია — დამცველი, ალექსანდრე კვირკველია — დამცველი, ლექსო ლეფსაია — ნახევარმცველი, კოტე გოგენია — ნახევარმცველი, ლევან ჩაჩიბაია — დამცველი, ლევან თოდუა — თავდამსხმელი, რევაზ ქაშიბაძე — მწვრთნელის ასისტენტი, კალისტრატე ხურცილავა — მწვრთნელის ასისტენტი, მამუკა გაბრავა — ადმინისტრატორი, მამული შონია — დამცველი, რობერტ ჩიტაია — ნახევარმცველი, გოგა გაგუა — თავდამსხმელი, კოტე ალანია — თავდამსხმელი, ვაგნერ ფირცხალავა ნახევარმცველი, ვლადიმერ ჯამბურია — დამცველი, ლევან გოგენია -— თავდამსხმელი, დავით ჩარგაზია — თავდამსხმელი, ზაზა გელაშვილი — მეკარე, ლევან ჭურღულია — მეკარე, რობიკო ცობეხია — თავდამსხმელი, ბაკურ ბუკია — თავდამსხმელი, ირაკლი ჭითანავა — თავდამსხმელი, პაპუნა გაბრავა — თავდამსხმელი, ნიკოლოზ ბერაია — თავდამსხმელი.**

როგორც ცნობილია, ხობის „კოლხეთი“, რომელიც მონაწილეობს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატის ლიგაში, პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ცნობილი მოვლენების გამო გუნდს შეექმნა ფინანსური პრობლემები. ფაქტიურად გუნდი დაშლის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამან გამოიწვია ხობის ახალგაზრდობისა და მოსახლეობის გულისტკივილი. ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და სპორტის ამ სახეობის განვითარებისა და ახალგაზრდობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის ხელშეწყობის მიზნით გადაწყვიტა გუნდის საკუთარ მფლობელობაში აყვანა.

„საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობა რჩეულთა ხვედრია და ჩვენდა საამაყოდ რჩეულთა შორისაა ხობის „კოლხეთი,“ რომელსაც ვულოცავთ ჩემპიონატის საზეიმო გახსნას და წარმატებებს ვუსურვებთ. ჩვენ სპორტის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული გაგვაჩნია. სოფლებშიც გავაგრძელებთ და ყველგან დავასრულებთ სათამაშო მოედნების მოწყობას, გავმართავთ რაიონულ ჩემპიონატებსაც, სადაც გამოვავლინდებიან საუკეთესო ბავშვებში და ხელს შევუწყობთ თაობათა გაჯანსაღებას, სპორტული ბაზებისა და ინფრასტრუქტურების განვითარებას,“ — განაცხადა მუნიციპალიტეტის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ ეროვნული ჩემპიონატის გახსნისას სტადიონზე მოსული გულშემატკივრების წინაშე.

## 2:0 ხობელთა სასარგებლოდ

31 აგვისტოს ხობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა საქართველოს პირველობისთვის მეორე ტურის მატჩი პირველი ლიგის გუნდებს შორის, ხობის კოლხეთმა უმასპინძლა ლაგოდეხის „ჰერეთს“. ხობელმა ფეხბურთელებმა წარმატებით ითამაშეს და გაიმარჯვეს 2;0. გოლები გაიტანეს თორნიკე ღლონტმა და გელა ლომაიამ.

მალე ხობში ჩატარდება ადგილობრივი ჩემპიონატი ფეხბურთში, განაცხადი მასში მონაწილეობის მიღებაზე უკვე გააკეთა ხობის მუნიციპალიტეტის 10 სოფლის საფეხბურთო გუნდმა: ჭალადიდის, შუა ხორგის, პ/ხორგის, ხეთის, პ/მაისის, საჯიჯაოს, ახალი ხიბულის, ქვალონის, ნოჯიხევის.

განცხადების მიღება გაგრძელდება.

## ქალაქ ხობში წმინდა სამების ეკლესია გაიხსნა



## პირველ ხორგაში მიმდინარეობს წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესიის მშენებლობა



4 ←

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7031 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | 43,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 04 00 | თავდაცვის ღონისძიებები | 34,6 | 45,8 | 82,7 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 5,0 | 8,0 | 8,0 |
| | | ხარჯები | 31,6 | 45,8 | 62,5 |
| | | შრომის ანაზღაურება | 24,7 | 33,9 | 41,1 |
| | | საქონელი და მომსახურება | 6,9 | 11,9 | 21,4 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | მივლინებები | 0,7 | 1,3 | 2,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 2,0 | 4,7 | 3,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 0,5 | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 3,6 | 5,9 | 15,9 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,0 | 0,0 | 20,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | 04 01 | გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური | 34,6 | 45,8 | 82,7 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 5,0 | 8,0 | 8,0 |
| 7021 | | ხარჯები | 31,6 | 45,8 | 62,5 |
| | | შრომის ანაზღაურება | 24,7 | 33,9 | 41,1 |
| | | საქონელი და მომსახურება | 6,9 | 11,9 | 21,4 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | 0,7 | 1,3 | 2,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 2,0 | 4,7 | 3,5 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 0,5 | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 3,6 | 5,9 | 15,9 |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 0,0 |
| 7021 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,0 | | 20,2 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 7 297,9 | 3 464,0 | 3 074,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ხარჯები | 350,0 | 308,1 | 439,2 |
| | | შრომის ანაზღაურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | საქონელი და მომსახურება | 261,5 | 298,1 | 270,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | მივლინებები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ოფისის ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | კვების ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სამედიცინო ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 261,5 | 298,1 | 270,0 |
| | | პროცენტი | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სუბსიდიები | 88,5 | 10,0 | 28,5 |
| | | გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 140,7 |
| | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 6 947,8 | 4 402,5 | 2 634,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | 05 01 | გზების მშენებლობის, რეკონსრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 4 938,0 | 1 798,7 | 1 019,3 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 70451 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 20,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 20,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | 20,0 |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 0,0 |
| 70451 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 938,0 | 1 798,7 | 999,3 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 02 | სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 1,0 | 920,6 | 1 009,4 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 70421 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 70421 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,00 | 920,60 | 1 009,4 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 03 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 270,7 | 131,3 | 225,8 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7063 | | ხარჯები | 88,5 | 10,0 | 28,5 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | 88,5 | 10,0 | 28,5 |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7063 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 182,2 | 121,3 | 197,3 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 04 | საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები | 0,0 | 32,3 | 0,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7052 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7052 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 32,30 | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 05 | ბინათმშენებლობა | 240,6 | 17,5 | 0,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7061 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7061 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 240,6 | 17,5 | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 06 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 399,2 | 262,8 | 214,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7064 | | ხარჯები | 0,0 | 87,0 | 110,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 87,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | 87,0 | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 110,0 |
| 7064 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 399,2 | 175,8 | 104,00 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 07 | დასუფთავების ღონისძიებები | 261,5 | 300,8 | 243,8 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7051 | | ხარჯები | 261,5 | 211,1 | 220,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 261,5 | 211,1 | 220,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 261,5 | 211,1 | 220,0 |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7051 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 89,7 | 23,8 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 08 | მუნიციპალიტეტის გენერალური გეგმის შედგენა | 0,0 | 0,0 | 30,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 30,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 30,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | 30,0 |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 0,0 |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 09 | სანიაღვრე არხების მოწყობა | 0,0 | 342,5 | 37,9 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 342,5 | 37,9 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 10 | მიწის დარეგისტრირება, ზედამხედველობა და ექსპერტიზა შესრულებულ სამუშაოებზე | 0,0 | 0,0 | 30,7 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 30,7 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 30,7 |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 11 | მინი სტადიონების მოწყობა | 0,0 | 532,0 | 149,6 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | 0,0 |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 532,0 | 149,6 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 12 | ეკლესიის მიმდებარე სკვერის კეთილმოწყობა | 0,0 | 532,0 | 65,0 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | | 532,0 | 65,0 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 05 13 | სხვა არაკლაციფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში | 1 186,8 | 1 246,6 | 48,5 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | | | |
| 7062 | | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შრომის ანაზღაურება | | | |
| | | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | | | |
| | | მივლინებები | | | |
| | | ოფისის ხარჯები | | | |
| | | წარმომადგენლობითი ხარჯები | | | |
| | | კვების ხარჯები | | | |
| | | სამედიცინო ხარჯები | | | |
| | | რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები | | | |
| | | ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები | | | |
| | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | | | |
| | | პროცენტი | | | |
| | | სუბსიდიები | | | |
| | | გრანტები | | | |
| | | სოციალური უზრუნველყოფა | | | |
| | | სხვა ხარჯები | | | |
| 7062 | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1 186,8 | 1 246,6 | 48,5 |
| | | ფინანსური აქტივების ზრდა | | | |
| | | ვალდებულებების კლება | | | |
| | 06 00 | საგანმანათლებლო ღონისძიებები | 780,7 | 2 031,6 | 1 736,8 |
| | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
